პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ბათუმის სამედიცინო აკადემია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნათია ქაჯაია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

წევრები:

დალი კალაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

ინგა ბაქრაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ბათუმის სამედიცინო აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 245419355

სახე: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება - კოლეჯი

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) დირექტორის 2019 წლის 28 მაისის N406 ბრძანების საფუძველზე შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის თავმჯდომარე - ნათია ქაჯაია, ჯგუფის წევრები დალი კალაძე და ინგა ბაქრაძე) 2019 წლის 18, 19, 20 ივნისს დაგეგმილი ავტორიზაციის ვიზიტი განახორციელა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში, მისამართზე: ქ. ბათუმი, ა. პუშკინის ქ. N118. ვიზიტის მიზანი იყო დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით დადგენილი ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების პირობების შესაბამისობის შეფასება.

ვიზიტი განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით მშვიდ და საქმიან გარემოში.

მდგომარეობა (ახალი/ არსებული)	სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	შენობა-ნაგებობების ფართი	მისამართების რაოდენობა და მდებარეობა (ერთ მისამართზე/სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში/ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში)
არსებული	200	2	63	447 კვ.მ	ქ. ბათუმი, ალ. პუშკინის ქ. N118-120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
	1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები	**მუხლი 6**	☐	■
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	☐	■
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების	**მუხლი 6 /**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

(ქალაქი, წელი)

	შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	პუნქტი ე)		
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	მუხლი 6 / პუნქტი ვ)	■	☐
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		მუხლი 7	■	☐
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	მუხლი 7 / პუნქტი ა)	■	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ.	მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)	■	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)	■	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და ვენტილაციის სამუალებები;	მუხლი 7 / პუნქტი ბ)	■	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	მუხლი 7 / პუნქტი გ)	■	☐
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	მუხლი 7 / პუნქტი დ)	■	☐
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	მუხლი 7 / პუნქტი ე)	■	☐
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	■	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)	■	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)	■	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)	■	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)	■	☐
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	მუხლი 7 / პუნქტი ზ)	■	☐
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და	მუხლი 7 /		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ■

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

	საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	პუნქტი თ)		
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	მუხლი 7 / პუნქტი ი)	■	
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის მაძიებელ დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის დროს საუკეთესო გამოცდილების მაგალითები არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი1.1

საექთნო განათლების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებებში, არ არის ასახული საექთნო საქმის საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილი შემდეგი პუნქტები:

1. „ კლინიკური სწავლების განხორციელების თავისებურებები და განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები",
2. კლინიკურ სწავლებაში ჩართული პირის/ექთნების უფლება-მოვალეობების რეგულირება"
3. კლინიკური სწავლება-სწავლის მიმართ დამატებითი მოთხოვნა;

VI. რეკომენდაციების შეჯამება

დაწესებულებას მიეცა შემდეგი რეკომენდაციები:

ქვესტანდარტი 1.1.

1. გასწორდეს საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში საათების განაწილებაში დაშვებული უზუსტობა;
2. გასწორდეს ფარმაცია (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მოდულების კრედიტების რაოდენობა;
3. საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, სწავლების და შეფასების ახალი მიდგომები გააცნონ პროფესიული განათლების მასწავლებლებს;
4. ფარმაცია (სააფთიაქოს) საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, სწავლების და შეფასების ახალი მიდგომები გააცნონ პროფესიული განათლების მასწავლებლებს.

ქვესტანდარტი 1.6

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის გაუმჯობესებისათვის, მოცემული ქვესტანდარტის მიზნებისთვის, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია. კერძოდ, ხარისხის მართვის მენეჯერს ყოველწლიურად შეემუშავებინა სამუშაო გეგმა, მისი შესრულების ანგარიშები და მის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც დამყარებული იქნებოდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

დაწესებულებაში არსებული ანალიზის შედეგებზე და მიმართული იქნებოდა დაწესებულების სუსტი მხარეების გაუმჯობესებისკენ და განვითარებისკენ, ამასთან, გამოკითხვის შედეგების შესახებ მომზადებულიყო ანგარიშები და სტატისტიკა, შედეგების ანალიზის შემდგომ დაესახათ სამოქმედო გეგმა; სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებული სხვადასხვა კითხვარები და ფორმები ელექტრონულად არსებობდეს.

<u>ქვესტანდარტი 2.5.</u>

შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალებში რეგისტრირებულია ჩუქების აქტები, ნაცვლად ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალისა, რაზეც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღერიცხა ხელშეკრულებებისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო ჟურნალებში მის მიერ შემუშავებული საქმისწარმოებით დადგენილი წესის შესაბამისად, რადგან ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა სხვადასხვა სარეგისტრაციო ჟურნალებში ხელშეკრულებებისა და შიდა დოკუმენტების აღრიცხვას. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საქმისწარმოების წესით განსაზღვრული რეგულაციების დარღვევას, რაზეც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია.

<u>ქვესტანდარტი 2.7.</u>

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის გადაადგილების უზრუნველყოფის ვალდებულება გაიწეროს დაწესებულებასა და დაცვის თანამშორმელთან გაფორმებულ ხელშეკრულებასა და ფუნქციებში.

<u>ქვესტანდარტი 2.9.</u>

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გადაეხედათ გრძელვადიანი სამოქმედო გეგმისთვის რამდენად არსებობდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ისეთი საკითხების დაგეგმვის და განხორციელების საჭიროება, როგორიცაა სამეცნიერო – კვლევითი მუშაობა, სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა, სამეცნიერო კონტრაქტების საკითხი, სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულება და სხვა.

<u>ქვესტანდარტი 3.1.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

(ქალაქი, წელი)

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშაოს ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები;

VII. დაწესებულების მისია

მისიაა დანერგოს ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ჯანდაცვის მიმართულების პროფესიული/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები და მათი რეალიზებით უზრუნველყოს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება.

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს - ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორი ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო კურსების პროგრამებს მრჩეველთა საბჭოს წარდგინებით, რაც განსაზღვრულია დაწესებულების დებულების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

საგანმანათლებლო პროგრამები ფარმაცია (სააფთიაქო) და საექთნო განათლება დამტკიცებულია 2019 წლის 19.02 N 01-27 ბრძანებით, ცვლილებები განხორციელებულია 05.04 .2019 წლის N01-40 და 19.04.2019 წლის N01-44 დირექტორის ბრძანებებით დაწესებულების დებულების მე-17 მუხლის შესაბამისად.

წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დასაბუთება, რაც ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებსა და დაწესებულების შესაძლებლობებს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თავისებურებებთან დაკავშირებით.

1. **საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება** - მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:

ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში/Associate Degree in Nursing *(ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) კოდი 0913;*

ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Fifth Level Vocational Qualification in Nursing *(მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი). კოდი 090554*

2.საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy

ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში / Associate Degree in Pharmacy (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) *კოდი 0916*

ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Fifth Level Vocational Qualification in Pharmacy (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი. *კოდი 090352*

პროგრამებში განსაზღვრულია :

- პროგრამის სარეგისტრაციო ნომერი და სახელწოდება;
- მიზანი;
- დაშვების წინაპირობა;
- კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები;
- სტრუქტურა და მოდულები;
- მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები;
- სწავლის შედეგის მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება;
- პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება;
- სპეციალური საგანამანთლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

(ქალაქი, წელი)

- ინფორმაცია ქართული ენის კომპეტენციის შესახებ;
- პრაქტიკის ობიექტის კრიტერიუმები.
- ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები;
- კლინიკური სწავლების განხორციელების თავისებურებები და განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები,(საექთნო განათლების პროგრამა)
- ინფორმაცია დანართების შესახებ (დანართების/მოდულების ნუსხა);
- პროგრამასთან ერთად წარმოდგენილია დანართები (ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ,ინფორმაცია აღჭურვილობის შესახებ, სასწავლო გეგმა და პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული).

დასახელებული პროგრამები და მოდულები ადაპტირებულია რეკომენდაციების დაცვით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში სტუდენტთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. ამასთან, სასწავლო გეგმა აგებულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია წინმსწრები მოდულის სწავლების შედეგების განმეორებით დადასტურების შესაძლებლობა. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ:
საექთნო განათლების გეგმაში: 1. მეორე სასწავლო წლის გეგმის სამი მოდულის საათების განაწილებაში დაშვებულია შეცდომა ,კერძოდ: 1.კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები- 7 კრედიტი = 175 სთ-ის ნაცვლად არის 100 სთ 2.შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა პედიატრია და მოზარდები 3კრ= 75 სთ-ის ნაცვლად არის 85 სთ; 3. კლინიკური პრაქტიკა -გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა , 6 კრ,=150 სთ-ის ნაცვლად არის 100 სთ.

ფარმაცია (სააფთიაქოს) გეგმაში: 1. მოდული ,,მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში" ნაცვლად 2 კრედიტისა (50 საათი), სასწავლო გეგმაში შეტანილია როგორც 1 კრედიტიანი - (25 საათი). 2. მოდული ,,ანალიზური ქიმიის სააფუძვლები" 4 კრედიტის (100საათი) ნაცვლად - სასწავლო გეგმაში შეტანილია 2 კრედიტი (50საათი); შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო გეგმის მიხედვით მოიცავს 120 კრედიტს, 123 ნაცვლად.

საექთნო განათლების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ კლინიკებთან:

1. მ. იაშვილის სახ.ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

(ქალაქი, წელი)

2. შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი, მედცენტრი;
3. შპს მედემერჯენსი;
4. შპს ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი;
5. შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი;
6. შპს ბათუმის მრავალპროფილიანი სამშობიარო სახლი;

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათში არ არის ასახული საექთნო საქმის საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილი შემდეგი პუნქტები:

1. კლინიკური სწავლების განხორციელების თავისებურებები და განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
2. კლინიკურ სწავლებაში ჩართული პირის/ექთნების უფლება-მოვალეობების რეგულირება;
3. კლინიკური სწავლება-სწავლის მიმართ დამატებითი მოთხოვნა;

თუმცა უნდა აღინიშნოს, რეალურად დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტოთ მოთხოვნილი შემდეგი საკითხები:

1. კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი ექთნისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7;
2. უცხო ენის A1 დონის ფლობა;
3. კომპიუტერული უნარების, კერძოდ, საოფისე პროგრამების კარგად ფლობა;

1. ხელშკრულებები საგანმანათლებლო პროგრამისთვის საექთნო განათლება:

N	პრაქტიკის ობიექტი	მოდულის დასახელება
1.	მ. იაშვილის სახ.ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი ხელშეკრულება-NBIH-6 18.02.2019 განუსაზღვრელი ვადით	7. 1. კლინიკური სწავლება-პედიატრია და მოზარდები
2.	ა(ა)იპ "საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი" ხელშეკრულება HDI-5-2019, 11.03.2019	1.ავადმყოფის მოვლა 2.შინმოვლა.3.გერონტოლოგია და გერიატრიის საკითხები . მოდულების სრული განხორციელება(თეორიული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

(ქალაქი, წელი)

	7 წლის ვადით(2026 წ.01.01)	პრაქტიკული კომპონენტი)
3.	შპს მედემერჯენსი ხელშეკრულება N03-09 , 18.02.2019 განუსაზღვრელი ვადით	1.კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა, 2. კლინიკური პრაქტიკა-სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.
4.	შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი, მედცენტრი (აჭარის ა.რ. ონკოლოგიის ცენტრი), ხელშეკრულება N03-05 14.02.2019 განუსაზღვრელი ვადით	1. კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა,2. კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა,3. კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა,4. კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა,5. კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
5.	შპს ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი ხელშეკრულება N03-14 25.02.2019 განუსაზღვრელი ვადით	1. კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა,2. კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა,3. კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა,4. კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა,5. კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
6.	შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი ხელშეკრულება N03-04 12.02.2019 განუსაზღვრელი ვადით	1. კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია,2შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია
7.	შპს ბათუმის მრავალპროფილიანი სამშობიარო სახლიხელშეკრულება N03-06 14.02.2019 განუსაზღვრელი ვადით	1. კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა, 2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა

2.ხელშეკრულებები საგანმანათლებლო პროგრამისთვის ფარმაცია (სააფთიაქო).

N	პრაქტიკის ობიექტი	მოდულის დასახელება
1	შპს ,,ჰეკატე" ხელშეკრულება N03-11 18 თებერვალი 2019 ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით	1. ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა; 2. მყარი და რბილი ფორმების მომზადება; 3. სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება; 4. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; 5. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა.
2	შპს ,,მეგაფარმი" ხელშეკრულება N03-07 16 თებერვალი 2019	1.მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; 2. მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა; 3.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

(ქალაქი, წელი)

	ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით	მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა; 4. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა; 5. პროდუქციის მიღება-განთავსება ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება.
3	შპს „ვიტა-ფარმა" ხელშეკრულება N03-13 19 თებერვალი 2019 ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით	1.მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება; 2. სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება;
4	შპს „გვირილა-2" ხელშეკრულება 03-12 19 თებერვალი 2019 ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით	1.მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა; 2. მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა; 3.მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა; 4. მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება, შეფუთვა მარკირება. 5. პროდუქციის მიღება-განთავსება ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება. 6. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში. 7. მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება; 8.სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება;
5	შპს „ბაკურიძე და კომპანია" ხელშეკრულება N03-10 18 თებერვალი 2019 ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით	1.მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; 2.მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა; 3 .მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება, შეფუთვა მარკირება. 4.პროდუქციის მიღება-განთავსება ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება. 5.სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში.

კოლეჯში ვიზიტის დროს ჩატარდა ინტერვიუ ბათუმის სამედიცინო აკადემიის მოდულის განმახორციელებელ პირებთან. საუბარი შეეხებოდა ახალ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თავისებურებებს. პროგრამის განმახორციელებლების ნაწილი იცნობს ახალ საგანმანათლებლო პროგრამებს, თუმცა ესაჭიროებათ დამატებითი სწავლება ახალ მიდგომებთან კერძოდ, სწავლის და შეფასების მიდგომებთან დაკავშირებით, რისი საჭიროებაც თვითონაც დაადასტურეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

(ქალაქი, წელი)

ექსპერტები გაესაუბრნენ ბათუმის სამედიცინო აკადემიის სტუდენტებს. მათ გამოთქვეს კმაყოფილება კოლეჯში და პრაქტიკის ობიექტებზე მიმდინარე სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. აღნიშნეს, რომ სწავლების პროცესშივე საქმდებიან და კმაყოფილების გამო რეკომენდაციას უწევენ კოლეჯს სწავლის მსურველებთან.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პრაქტიკის ობიექტები, კერძოდ, შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი (აჭარის ა.რ. ონკოლოგიის ცენტრი), რომლის შენობაშიც განთავსებულია ბათუმის სამედიცინო აკადემია. გაესაუბრნენ კლინიკის გენერალურ დირექტორს, რომელიც ამავდროულად შპს შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრის დამფუძნებელია, აღნიშნა, რომ სასწავლო დაწესებულების და კლინიკის თანამშრომლობა დადებითად აისახება კადრების შემდგომ დასაქმებაზე. აჭარა განიცდის საექთნო კადრის დეფიციტს და რთულია კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მოძიება. ამ მხრივ კოლეჯის მიერ თეორიულად მომზადებული კადრი, პრაქტიკულ უნარებს ეუფლება მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალ მედცენტრის კლინიკურ დეპარტამენტებში და სტუდენტთა დიდი ნაწილი იქვე საქმდება. საუბრისას დადგინდა, რომ ვინაიდან კლინიკა მრავალპროფილიანია და დეპარტამენტები დიდია, ერთდროულად შეუძლია მიიღოს 40-50 სტუდენტი, განმახორციელებელი ექთნისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობის - 1/7 დაცვით.

კლინიკის დირექტორმა საუბრისას აღნიშნა, რომ არსებული შენობის გვერდით შენდება ახალი კორპუსი და დიდი სიამოვნებით აპირებს კოლეჯისთვის ახალი ფართის გამოყოფას, რაც ადასტურებს მის კეთილგანწყობას კოლეჯის მიმართ.

ექსპერტებმა, საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში, დაათვალიერეს მეორე დიდი ობიექტი - შპს ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი, გაესაუბრნენ კლინიკური და კლინიკური შემაჯამებელი პრაქტიკის განმახორციელებელ პირებს. საუბრისას გამოირკვა, რომ ისინი კარგად ერკვევიან არსებულ პროგრამაში და აღნიშნეს, რომ დამაბრკოლებელი ფაქტორია საექთნო განათლების მოდულებში მითითებული ქართულენოვანი სასწავლო რესურსის ფაქტობრივად დიდი სიმცირე. კლინიკური სწავლების ამ ობიექტს შეუძლია ერთდროულად მიიღოს 60 სტუდენტი, განმახორციელებელი ექთნისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობის - 1/7 დაცვით.

კლინიკური სწავლების განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ ისინი აკმაყოფილებენ საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილ .კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

(ქალაქი, წელი)

მოთხოვნებს.კერძოდ აქვთ 1. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი(დიპლომი), 2.ცნობა/ ამონაწერი სამუშაო გამოცდილების შესახებ, 3. ინგლისური ენის A1 დონის ფლობის სერთიფიკატი 4. საოფისე პროგრამების ფლობის სერთიფიკატი.

საგანმანათლებლო პროგრამისთვის ფარმაცია (სააფთიაქო) ექსპერტებმა დაათვალიერეს აფთიქები „ჰეკატე", „გვირილა-2", გაესაუბრნენ „ჰეკატეს" დამფუძნებელს, რომელმაც აღნიშნა, რომ „ჰეკატე" არის ქსელური აფთიაქი (13 აფთიაქი), რომელსაც შესაძლებლობა აქვს მის ქსელში მიიღოს ერთდროულად 40 სტუდენტი. უნდა აღინიშნოს, რომ ამავე აფთიაქებში ამზადებენ წამლებს (ინდივიდუალურად ექიმის დანიშნულებით). „ჰეკატეს" დამფუძნებელი არის აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდენტი. იგი მრავალი წელია ემსახურება ახალი თაობების სწავლებას, ზრუნავს მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. იგი კოლეჯთან თანამშრომლობს 20 წელია. ამ პერიოდის განმავლობაში კოლეჯის სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკულ სწავლებას „ჰეკატეს" ბაზაზე, ფარმაციის სხვადასხვა სახის (ე.წ. საგნობრივი, მოდულური) პროგრამების ფარგლებში და სურვილი აქვს გააგრძელოს მათთან პარტნიორული ურთიერთობა ახალი პროგრამის - ფარმაცია (სააფთიაქოს) - მოდულების განსახორციელებლად.

ექსპერტებმა ასევე დაათვალიერეს აფთიაქი „გვირილა - 2", სადაც ასევე მზადდება წამლები, რას შესაძლებლობას იძლევა ამ ბაზაზე შესაბამისი მოდულების განხორციელების. დასახელებულ აფთიაქს შეუძლია ერთდროულად მიიღოს 4 სტუდენტი.

ხარვეზი:

საექთნო განათლების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებებში, არ არის ასახული საექთნო საქმის საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილი შემდეგი პუნქტები:

1.კლინიკური სწავლების განხორციელების თავისებურებები და განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

2. კლინიკურ სწავლებაში ჩართული პირის/ექთნების უფლება-მოვალეობების რეგულირება;
3. კლინიკური სწავლება-სწავლის მიმართ დამატებითი მოთხოვნა;

რეკომენდაცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

(ქალაქი, წელი)

- გასწორდეს საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში საათების განაწილებაში დაშვებული უზუსტობა;
- გაწორდეს ფარმაცია (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მოდულების კრედიტების რაოდენობა და პროგრამის სასწავლო გეგმაში საათების განაწილებაში დაშვებული უზუსტობა;
- საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, სწავლების და შეფასების ახალი მიდგომები გააცნონ პროფესიული განათლების მასწავლებლებს;
- ფარმაცია (სააფთიაქოს) საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, სწავლების და შეფასების ახალი მიდგომები გააცნონ პროფესიული განათლების მასწავლებლებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამებით;
- შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის მრჩეველთა საბჭოს ოქმით;
- შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის ბრძანებით N01-27 , 19.02.2019წ
- შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის ბრძანებით N01-40 , 05.04 2019 წ.
- ბაზებთან დადებული ხელშეკრულებებით;
- ინტერვიურებით;

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....

(ქალაქი, წელი)

საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას ვებგვერდზე განთავსებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი , რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ, რომელთა განხორციელების უფლება აქვს, ხოლო, ანონსის სახით მითითებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, რომელთა განხორციელების სურვილი აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებას ესენია: საექთნო განათლება და ფარმაცია (სააფთიაქო).. ამასთან საექთნო განათლებისსაგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია,რომ კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა (180 კრედიტი) და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

დაწესებულების მიერ შემუშავებული კატალოგი ასევე მოიცავს ინფორმაციას კოლეჯის სერვისების, მათ შორის მოკლევადიანი პროგრამებისა და პარტნიორი დაწესებულებების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგით);
- ვებგვერდით -www.bmeda.edu.ge

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

(ქალაქი, წელი)

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამების, **ფარმაციის (სააფთიაქო) და საექთნო განათლება**, რომელებიც დამტკიცებულია ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის მიერ 19.02.2019 წლის N01-27 ბრძანებით, ცვლილებები განხორციელებულია 05.04.2019 წლის N01-40, 19.04.2019 წლის N01-44 ბრძანებებით, სწავლის შედეგები შეესაბამება შესაბამის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით:
  - საექთნო განათლება
  - ფარმაცია (სააფთიაქო)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით;

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის სამედიცინო აკადემიის დებულების მე-4 თავი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების (მუხ.19) შეჩერების (მუხ.27), შეწყვეტის (მუხ.28), მობილობის (მუხ.26), მიღებული განათლების აღიარების (მუხ.29) წესებს, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში გაწერილია კანონიერი წარმომადგენლის დადასტურების პირობები (მუხ.19 პუნქტი 10).
ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა აქტიური სტატუსის მქონე, სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები. დაწესებულება იცავს შიდა რეგულაციასა და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

(ქალაქი, წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბათუმის სამედიცინო აკადემიის დებულებით (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 20.02. N 01– 28 ბრძანებით, ცვლილება 05.04. 2019 წლის N 01–40 ბრძანებით;
- პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეებით;
- ინტერვიუს შედეგით.

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის სამედიცინო აკადემიის დებულების მე-3 თავის მე-17 მუხლი არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა/გაუქმებას. რის მიხედვითაც, - დამდგარი ან მოსალოდნელი ობიექტური გარემოების დროს, რომელიც იწვევს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლას ან გაუქმებას, აკადემია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ალტერნატიული პროგრამის შეთავაზებით (აქამდე მიღებული კრედიტების აღიარებით), ან ხელი შეუწყოს მათ მობილობას.

აკადემიას ამ მიზნით პროგრამის გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების გადასვლის და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მათ მიერ გავლილი პროგრამის შესაბამისად კრედიტის აღიარებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბათუმის სამედიცინო აკადემიის დებულებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

- სკკა -თან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმით (2018 წ);
- ინტერვიუს შედეგებით.

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეისწავლეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, მარეგულირებელი დოკუმენტაცია, პრაქტიკული განხორციელების მტკიცებულებანი.

ექსპერტებმა შეამოწმეს პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის დოკუმენტაცია, რომელიც ეფუძნება ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს (დაგეგმვა- განხორციელება-შემოწმება-რეაგირება) და აღწერს ციკლს მთლიანობაში და მის ცალკეულ ეტაპებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო აღნიშნული სისტემის სხვადასხვა ეტაპის ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ:

1) დაწესებულებაში შემუშავებულია მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის ფუნქციონირებას;

2) გამოკითხვაში ჩართული სამიზნე ჯგუფი მოიცავს პროფესიული სტუდენტებს, დამსაქმებლებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს;

დაწესებულებაში სწავლების ხარისხის შეფასებისთვის მოწმდება:

- საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები;
- სასწავლო პერსონალი/პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- სასწავლო გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

(ქალაქი, წელი)

- პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში;
- კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლის გზით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის შედეგებს დაწესებულება იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რაც ასახულია სხვადასხვა დოკუმენტაციაში (ოქმები, ანგარიშები). სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად დაწესებულება ახორციელებს მონიტორინგს, რაც მოიცავდა ლექციებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და აქტივობებზე დასწრებას. ამასთან, შემუშავებულია სპეციალური ანკეტა კითხვარები, რომლის შესაბამისად ხდება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების გამოკითხვა. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა ინტერვიურებისას განმარტა, რომ ანკეტირების შედეგად მიღებული შედეგები გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

ერთიან სისტემაში მოყვანის და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად განხორციელებისათვის დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ შეფასებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე რეალურად შეაფასოს დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობა და გაანალიზოს საკუთარი ძლიერი მხარეები, არსებული პრობლემები და გაწეროს, თუ როგორ ხედავს მათი გადაჭრის გზებს.

რეკომენდაცია:

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის გაუმჯობესებისათვის, მოცემული ქვესტანდარტის მიზნებისთვის, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია. კერძოდ, ხარისხის მართვის მენეჯერს ყოველწლიურად შეემუშავებინა სამუშაო გეგმა, მისი შესრულების ანგარიშები და მის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც დამყარებული იქნებოდა დაწესებულებაში არსებული ანალიზის შედეგებზე და მიმართული იქნებოდა დაწესებულების სუსტი მხარეების გაუმჯობესებისკენ და განვითარებისკენ, ამასთან, გამოკითხვის შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

შესახებ მომზადებულიყო ანგარიშები და სტატისტიკა, შედეგების ანალიზის შემდგომ დაესახათ სამოქმედო გეგმა; სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებული სხვადასხვა კითხვარები და ფორმები ელექტრონულად არსებობდეს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებებით
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის ფუნქციონირების დამადასტუდებელი მტკიცებულებებით;
- კითხვარებით;
- ოქმებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....

(ქალაქი, წელი)

დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს შპს აჭარის ა.რ. ონკოლოგიის ცენტრის (ს.კ. [redacted] საკუთრებაში არსებულ კლინიკაში, მდებარე ქ. ბათუმში, ალ. პუშკინის N118-120, შენობის მე-4 და მე-5 სართულებზე. შპს აჭარის ა.რ. ონკოლოგიის ცენტრსა და ავტორიზაციის მაძიებელს შორის დადებულია იჯარის ხელშეკრულება ქონებით სარგებლობის თაობაზე. უძრავი ქონების მესაკუთრესა და დაწესებულებას შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2024 წლის 1 სექტემბრამდე.

იჯარის ხელშეკრულებაში მითითებული ფართის ოდენობაა 447 კვ.მ.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. N118–120, ს.კ [redacted] მე–4 და მე–5 სართულები	447 კვ.მ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- ამონაწერით სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- იჯარის ხელშეკრულებით;
- საკადასტრო აზომვითი ნახაზით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურებით.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის სამედიცინო აკადემიას საექთნო განათლების პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს სასწავლო ფართი,რომელიც აღჭურვილია პროგრამით მოთხოვნილი ჩანაწერების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის მოდულები განხორციელდება ბათუმის სამედიცინო აკადემიაში A, B და C სასწავლო გარემოში (405, 410, 412, 503,504 აუდიტორიებში) და პრაქტიკის ობიექტებზე.

A 1 ტიპის სასწავლო გარემოს, N 412-ე აუდიტორიის, ფართი შეადგენს 86,40კვ.მ-ს, მასში განთავსებულია 40 ცალი მაგიდა /სკამი, 1 პროექტორი და 1 კომპიუტერი, დაფა ,ფლიპჩარტი.

A- 2 ტიპის სასწავლო გარემოს, N 503-ე აუდიტორიის, საერთო ფართი შეადგენს 38,34კვ.მ-ს, მასში განთავსებულია 31 ცალი მაგიდა /სკამი, 1 პროექტორი და 1 კომპიუტერი,დაფა, ეკრანი.

B- ტიპის სასწავლო გარემოს ფართი შეადგენს 18,21 კვ.მ-ს.მასში განთავსებულია 12 ერთეული კომპიუტერი (11 ერთეული სტუდენტებისათვის და 1 ერთეული მასწავლებლისათვის), 12 ცალი მაგიდა /სკამი,ასევე 1 ცალი პროექტორი. პრინტერი.

დაწესებულებას საექთნო განათლების პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს პროგრამის ჩანაწერების შესაბამისად აღჭურვილი ორი სიმულაციური გარემო; აუდიტორია N405 რომლის ფართი შეადგენს 31.6 კვ.მ-ს, მასში განთავსებულია 15 ცალი მაგიდა/სკამი, 1 მონიტორი და 1 კომპიუტერი და

აუდიტორია N504 ფართით 28.23 კვ.მ. რომელშიც განთავსებულია 15 ცალი მაგიდა/სკამი, 1 მონიტორი და 1 კომპიუტერი . სასწავლო გარემო შეესაბამება დაწესებულების მიერ პროგრამა საექთნო განათლების განხორციელებისთვის პროფესიულ სტუდენტთა, მოთხოვნილ რაოდენობას.

ბათუმის სამედიცინო აკადემიას ფარმაცია (სააფთიაქო) პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილი ფართი. პროგრამის მოდულები ხორციელდება A,B და C სასწავლო გარემოში, დაწესებულების აუდიტორიებში: N410(B გარემო); N411(ქიმიურ-ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ლაბორატორია); N501(ფრმაკო-ქიმიური კაბინეტი);N410 (B გარემო); N406 (სამედიცინო კაბინეტი) და პრაქტიკის ობიექტებზე(აფთიაქებში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

(ქალაქი, წელი)

N410 B- ტიპის სასწავლო გარემოს ფართი შეადგენს 18,21 კვ.მ-ს.მასში განთავსებულია 12 ერთეული კომპიუტერი (11 ერთეული სტუდენტებისათვის და 1 ერთეული მასწავლებლისათვის), 12 ცალი მაგიდა /სკამი,ასევე 1 ცალი პროექტორი. პრინტერი.)

N411-ის ფართი შეადგენს 57.50 კვ.მ-ს, სასწავლო გარემოში განთავსებულია 21 ცალი მაგიდა /სკამი,ასევე 1 ცალი მონიტორი და 1ცალი კომპიუტერი, რომელიც აღჭურვილია მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი აღჭურვილობითა და მასალებით, თემატური პლაკატებით, ნიმუშებით და სხვა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით.

N501-ის ფართი შეადგენს - 37.6 კვ.მ-ს, სასწავლო გარემოში განთავსებულია 21 ცალი მაგიდა/სკამი, ასევე 1 ცალი მონიტორი და 1 ცალი კომპიუტერი, რომელიც აღჭურვილია მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი აღჭურვილობითა და მასალებით, თემატური პლაკატებით, ნიმუშებით და სხვა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით.

სასწავლო გარემო შეესაბამება დაწესებულების მიერ პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) განხორციელებისთვის , პროფესიულ სტუდენტთა, მოთხოვნილ რაოდენობას.

დაწესებულება ფლობს საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ რესურსს/ინვენტარს. დაწესებულებას საკუთრებაში აქვს მაგიდები, სკამები, კომპიუტერები, პროექტორები, ლაბორატორიის აღჭურვილობა.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის სასწავლო ფართი აღჭურვილია სათანადო რესურსით, რომლებიც იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულებაში არსებული საბუღალტრო დოკუმენტაციით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ანგარიშფაქტურებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- საბუღალტრო პროგრამით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების სარგებლობაში არსებული ფართი უზრუნველყოფილია სველი წერილებით, ელ. ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით, გათბობის ცენტრალური სისტემით. ბუნებრივი განათების შესაძლებლობა აქვს ყველა აუდიტორიას, რომელიც საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნებისთვის გამოიყენება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიურებით;
- საინვენტარიზაციო აქტით;
- საბუღალტრო დოკუმენტაციით;
- მომსახურების გადახდის ქვითრებით;
- ფაქტობრივი მდგომარეობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის სამედიცინო აკადემიის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 1295 ერთეულს და მოიცავს როგორც ბეჭდურ, ასევე ელექტონულ მატარებლებზე არსებულს. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, მათ შორის: ერთი კომპლექტი კომპიუტერი ბიბლიოთეკის თანამშრომელთათვის, 2 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, 1 ცალი კომბაინით, 1 ცალი პრინტერით. მაგიდით და სკამებით. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია ბიბლიოთეკაში; არის ბეჭდური და ელექტრონული კატალოგები, მკითხველთა რეგისტრაციის ჟურნალი და მოქმედებს საბარათე სისტემა.

ორივე საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის არსებობა. რაც დადასტურდა. საგანმანათლებლო რესურსის ნაწილი დაწესებულებაში არსებობს მატერიალურად, ხოლო ნაწილი ელექტრო მატარებლებზეა ჩაწერილი. საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

ბიბლიოთეკას ემსახურება ბიბლიოთეკის გამგე და სამკითხველო დარბაზის ზედამხედველი. მათი კვალიფიკაციები შესაბამისია დაკავებულ თანამდებობასთან.
წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, იწარმოება საინვენტარო წიგნი და არსებობს ანბანური კატალოგი. ბიბლიოთეკა მუშაობს დებულებით დადგენილი წესით. სათანადოდაა მოწყობილი სამკითხველო დარბაზი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

(ქალაქი, წელი)

- წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაციით;
- ელექტრონული და ბეჭდური კატალოგებით;
- საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- საგანმანათლებლო რესურსების სარეგისტრაციო ჟურნალით;
- მკითხველის ბარათებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების ადამიანურ რესურსს სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისათვის სარგებლობაში აქვთ შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა. კერძოდ, ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერის 3(სამი) კომპლექტი- 2 პროფესიული სტუდენტთათვის და ერთი ბიბლიოთეკარისთვის, 1 კომბაინი(პრონტერი, სკანერი, ასლგადამღები); სასწავლო აუდიტორიებში განთავსებულია კომპიუტერის 6(ექვსი) კომპლექტი მასწავლებელთათვის, B სასწავლო გარემოში, კომპიუტერის 11(თერთმეტი) კომპლექტი პროფესიული სტუდენტთათვის და ერთი პრინტერი 3(სამი) მონიტორი, 1(ერთი) პროექტორი. ადმინისტრაციისთვის 6 (ექვსი) კომპიუტერი და 5(პრინტერი).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულებაში არსებული საბუღალტრო დოკუმენტაციით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ანგარიშფაქტურებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- საბუღალტრო პროგრამით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომლის შესაბამისად ახორციელებს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვას. დაწესებულებაში დანიშნულია საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ახორციელებს სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოებას; დაწესებულებაში აღირიცხება: დირექტორის ბრძანებები, შემოსული და გასული კორესპონდენცია, ხელშეკრულებები, შიდა დოკუმენტაცია;

შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალებში რეგისტრირებულია ჩუქების აქტები, ნაცვლად ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალისა, რაზეც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღერიცხა ხელშეკრულებებისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო ჟურნალებში მის მიერ შემუშავებული საქმისწარმოებით დადგენილი წესის შესაბამისად, რადგან ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა სხვადასხვა სარეგისტრაციო ჟურნალებში ხელშეკრულებებისა და შიდა დოკუმენტების აღრიცხვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

- საქმისწარმოების წესებით;
- დაწესებულების დებულებით და სტრუქტურით;
- სარეგისტრაციო ჟურნალებით;
- ინტერვიურებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალებში რეგისტრირებულია ჩუქების აქტები, ნაცვლად ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალისა, რაზეც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღერიცხა ხელშეკრულებებისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო ჟურნალებში მის მიერ შემუშავებული საქმისწარმოებით დადგენილი წესის შესაბამისად, რადგან ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა სხვადასხვა სარეგისტრაციო ჟურნალებში ხელშეკრულებებისა და შიდა დოკუმენტების აღრიცხვას.

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა) დაწესებულებას გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ცეცხლმაქრები, შენობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

(ქალაქი, წელი)

დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემა, განგაშის ღილაკი და კვამლის დეტექტორები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით აქტი, რომელიც შესაბამისობაშია „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის და სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედ სხვა ნორმატიული აქტებთან;

ბ) საევაკუაციო გეგმა განთავსებულია შენობის ყველა სართულზე. შედგენილია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის, სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესაბამისად;

გ) შემუშავებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; შენობაში მოწყობილია სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის სამედიცინო ოთახი სათანადო ინვენტარით და საბუღალტრო დოკუმენტაციით დადასტურებული შეძენილი მედიკამენტებით. მედდის საშტატო ერთეულზე დანიშნულია სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი;

დ) დაწესებულების შენობა-ნაგებობა და მიმდებარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოკამერების მეშვეობით, რომლის მონიტორინგის და მეთვალყურეობის უფლებამოსილება დაკისრებული აქვს დაცვის თანამშრომელს, რომელსაც ევალება დაწესებულებაში წესრიგის დაცვის კონტროლი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- საევაკუაციო გეგმით;
- საბუღალტრო დოკუმეტაციით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

(ქალაქი, წელი)

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს მოწყობილი ადაპტირებული გარემო, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის სათანადო სველი წერტილით და გადაადგილებისათვის საჭირო პანდუსით. შენობაში დამონტაჟებულია სართულებს შორის გადაადგილებისათვის ლიფტი, რომელიც მხოლოდ მეოთხე სართულამდე მოძრაობს. მე-4 და მე-5 სართულს შორის დამაკავშირებელ კიბეზე დამონტაჟებულია პანდუსი, თუმცა მისი ტექნიკური მდგომარეობის გამო, ვინაიდან სპეციალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი დამოუკიდებლად ვერ გადადგილდება დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, დაცვის თანამშრომელს ზეპირსიტყვიერად დავალებული აქვს მისთვის დახმარების გაწევა. რადგან, დაწესებულების მარეგულირებელ აქტებში არ იყო გაწერილი დასახელებული ვალდებულება და არც დაცვის თანამშრომელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული მსგავსი პირობა, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, დაერეგულირებინა აღნიშნული საკითხი. ინტერვიურების დროს დაცვის თანამშრომელმა დაადასტურა, რომ მას დაკისრებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის მომსახურების გაწევა.

რეკომენდაცია:

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის გადაადგილების უზრუნველყოფის ვალდებულება გაიწეროს დაწესებულებასა და დაცვის თანამშორმელთან გაფორმებულ ხელშეკრულებასა და ფუნქციებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ქონების ფლობის დოკუმენტაცით;
- ინვენტარიზაციის აქტით;
- დაწესებულების დებულებით;
- დაცვის თანამშრომელთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ინტერვიურებით;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

(ქალაქი, წელი)

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის ვებ-გვერდი www. bmpc.ge ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, კერძოდ დაწესებულების მისია, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, კატალოგი, საქმიანობის მარეგულირებელი აქტები, მიმდინარე პროექტები, კოლეჯის მიღწევები, მესამე პირებთან თანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია, ფოტოგალერია, კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაცია, სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა, სიახლეები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებ–გვერდით –www. bmpc.ge
- დომენის და ჰოსტინგის მომსახურების ხელშეკრულებით;
- გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

(ქალაქი, წელი)

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებულია ექვსწლიანი (2019-2025) სტრატეგიული და ერთწლიანი (2018-2019) სამოქმედო გეგმები, რომელთა მიზნები და ამოცანები თავსებადია კოლეჯის მისიასთან, გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და ემსახურება სტრატეგიული გეგმის მიზნების მიღწევას, შემუშავებულია დაინტერესებული პირების ჩართულობით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით.

თითოეული მიზანი ჩაშლილია ქვემიზნებად და ამოცანებად. სამოქმედო გეგმა გაწერილია დეტალურად, ითვალისწინებს შესასრულებელ ამოცანებს, შესრულების ვადებს, შესრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოს და ინდიკატორს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ერთწლიანი (2017-2018) სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და swot ანალიზი.

დაწესებულების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე ისეთი საკითხების დაგეგმვას და შესრულებას, რომელიც სცილდება პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის სფეროს, კერძოდ სამეცნიერო – კვლევითი მუშაობა, სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა, სამეცნიერო კონტრაქტების საკითხი, სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულება და სხვა რაზეც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია.

რეკომენდაცია:

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გადაეხედათ გრძელვადიანი სამოქმედო გეგმისთვის რამდენად არსებობდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ისეთი საკითხების დაგეგმვის და განხორციელების საჭიროება, როგორიცაა სამეცნიერო – კვლევითი მუშაობა, სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა, სამეცნიერო კონტრაქტების საკითხი, სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულება და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

(ქალაქი, წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით;
- სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშით;
- swot ანალიზით;
- ინტერვიურებით დაწესებლების წარმომადგენელთან.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს დამტკიცებული საშტატო განრიგი, პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობასთან, მათ შორის ექთნის და ბიბლიოთეკარის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დაწესებულებას გაწერილი აქვს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რისი გათვალისწინებითაც არის შერჩეული ადმინისტრაციული პერსონალი. რასაც ადასტურებს მათი პირადი საქმეები. ადმინისტრაცია შედგება 11 თანამშრომლისგან.

პერსონალის პირად საქმეებში დევს გაცნობის ფურცელი, რომელიც ადასტურებს თანამშრომელთათვის შრომის შინაგანაწესისა და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების გაცნობას.

დაწესებულებაში დადგენილია პერსონალის თანამდებობრივი უფლებამოსილებები საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში ფუნქციების სახით, თუმცა ზოგადია და არ არის დეტალურად გაწერილი პერსონალის სამუშაო აღწერილობა, რომლის შემუშავებაზე დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

(ქალაქი, წელი)

რეკომენდაცია:

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშაოს ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შრომის შინაგანაწესით;
- პერსონალის დანიშვნის შესახებ დირექტორის ბრძანებებით;
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- გასაუბრებით;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით.

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის პერიოდისთვის ბათუმის სამედიცინო აკადემიაში მუშაობს 63 პროფესიული მასწავლებელი. ექსპერტების მიერ მასწავლებელთა პირადი საქმეების შემოწმებით დადგინდა, რომ მათი განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ვიზიტის პერიოდისთვის პროფესიული სტუდენტის შეფარდება პროგრამის განმახორციელებელი პირთან არის - 43/63

საგანმანათლებლო პროგრამისთვის საექთნო განათლება განახორციელებლად დაწესებულების მიერ პროგრამის ხანგრძლივობით მოთხოვნილ 120 პროფესიულ სტუდენტზე განსაზღვრული აქვს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 51 განმახორციელებელი პირი (120/51), ხოლო საგანმანათლებლო პროგრამაზე ფარმაცია (სააფთიაქო) პროგრამის ხანგრძლივობით მოთხოვნილ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

(ქალაქი, წელი)

80 პროფესიულ სტუდენტზე შესაბამისი კვალიფიკციის მქონე 29 განმახორციელებელი პირი 80/29.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- რეესტრის გადამოწმებით (www.evet.emis.ge)

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის სამედიცინო აკადემიაში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქალტველოს კანონის პროფესიული განათლების შესახებ და კოლეჯიდ დებულების მე-6 თავის 36-ე მუხლის, მე-8,მე-9 მუხლების შესაბამისად. ექსპერტების მიერ მასწავლებელთა პირადი საქმეების შემოწმებით დადგინდა, რომ ყველას აქვს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- ხელშეკრულებებით.

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

ბათუმი სამედიცინო აკადემია, ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, გეგმავს საგანმანათლებლო პროგრამაზე ,საექთნო განათლება, **მიიღოს 120** პროფესიული სტუდენტი იმ გაანგარიშებით,რომ სამი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

სასწავლო წლის განმავლობაში, **თითოეულ სასწავლო წელს მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი,** ხოლო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ფარმაცია(სააფთიაქო), **მიიღოს 80** სტუდენტი, ორი სასწავლო წლის განმავლობაში, **თითოეულ სასწავლო წელს მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი.**

აკადემიაში მილევად რეჟიმში სწავლობს 43 პროფესიული სტუდენტი, აქედან 34 პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფესურის პროფესიულ (მოდულურ) პროგრამაზე (15 მეორე სასწავლო წლის პროფესიული სტუდენტი და 19 მესამე სასწავლო წლის პროფესიული სტუდენტი), ხოლო ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიულ (მოდულურ) პროგრამაზე 9 მეორე სასწავლო წლის სტუდენტი.

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა მილევადი პროგრამების განხორციელების გეგმები და გათვალისწინებულ იქნა განხორციელების თავისებურებები(სიმულაციური გარემოსა და ქიმიური ლაბორატორიის დატვირთვა);დადგინდა,რომ ახალი პროგრამების განხორციელების უფლების მიპოვების შემთხვევაში, არ მოხდება ახალი და მილევადი პროგრამების გადაფარვა.

ინფორმაცია ავტორიზაციის მოსაპოვებელი პროგრამების შესახებ

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი (მისამართები)	სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა უსპერტა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	საქთნო განათლება	მეხუთე დონე/საფეხური	ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში *(ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) კოდი 0913;* ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული ქალიფიკაცია საექთნო საქმეში/ *(მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი). კოდი 090554*	180	210	ქართული	ბათუმი, პუშკინის ქ.N118		120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

2	ფარმაცია (სააფთიაქო)	მეხუთე დონე/საფეხური	ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) *კოდი 0916* ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი.) *კოდი 090352*	123	153	ქართული	ბათუმი, ბუშკინის ქ.N118		80

ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება ახორციელებს უკვე ჩარიცხული პრიოფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფერის / ოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)
				სტუდენტებისათვის	სტუდენტებისათვის			
1	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე საფეხური	პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფესურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	134	164	ქართული	ბათუმი, ბუშკინის ქ.N118	34
2	ფარმაცევტის თანაშემწე	მეოთხე საფეხური	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351	95	125	ქართული	ბათუმი, ბუშკინის ქ.N118	9

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1 - დღის წესრიგი.

15.07.2019
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქალაქი, წელი)